**სსიპ სახელმწიფო**
**შესყიდვების**
**სააგენტო**

**12 / დეკემბერი / 2024 წ.**

KA080188579466124

№ **3501**

# განკარგულება

## შპს „მედინიუსის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“;

**ტენდერის ნომერი:** NAT240016435;

**შესყიდვის ობიექტი:** 33100000 - სამედიცინო მოწყობილობები;

**მიმწოდებელი:** შპს „მედინიუსი“ (ს/ნ: 412718769);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

## აღწერილობითი ნაწილი

### 1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 6 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის“ 2024 წლის 6 ნოემბრის №MOD82401424359 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №9242), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „მედინიუსის“ (ს/ნ: 412718769) მიერ NAT240016435 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 16 სექტემბრის №664 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის Rajdeni@inbox.ru შეშვეობით, 2024 წლის 12 ნოემბრის № 3259 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 ლის 18 ნოემბერს სააგენტოში წარმოადგინა 2024 წლის 18 ნოემბრის განმარტება (რეგისტრაციის №9633) 2024 წლის 16 სექტემბრის №664 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

### 2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2024 წლის 16 სექტემბრის № 664 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა.

**3. მიმწოდებლის პოზიცია**

მიმწოდებლის განმარტების თანახმად, მან შემსყიდველ ორგანიზაციას საქონელი მიაწოდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში. ამასთან, აღნიშნული საქონელი აკმაყოფილებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას, ხოლო იმ ნაწილში რომელშიც ვერ აკმაყოფილბდა – შესაძლებელი იყო ხარვეზის აღმოფხვრა. მიმწოდებლის განმარტებით, შეუძლებელი იყო მხოლოდ ბორმანაქანის გვერდულად გადაწევა-გადმოწევის ფუნქციის აღდგენა, რომელიც თითქმის არ გამოიყენებოდა სტომატოლოგიაში. მიმწოდებელი ასევე განმარტავს, რომ ორალ-კამერა რომელიც 150 ლარი ღირდა მან შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებით დაამონტაჟა. ასევე დაამონტაჟა ელექტრო-მიკრო-მოტორი, რომელიც 650 დოლარი ღირდა და უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა სტომატოლოგიაში და შემსყიდველი ორგანიზაცია ტურბინული ბუნიკების ყიდვიდან დაცული იყო. ასევე, მიმწოდებელმა ელექტრო-მიკრო-მოტორი, სკალერი (ქვების ამოსაყრელი აპარატი) და ლაზერული აპარატი დამონტაჟებული მიაწოდა შემსყიდველ ორგანიზაციას.

**4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები**

4.1. 2024 წლის 16 სექტემბერს, NAT240016435 ელექტრონული ტენდერის საშუალებით სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიასა“ და შპს „მედინიუსს“ (ს/ნ: 412718769) შორის დაიდო № 664 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა სტომატოლოგიური მოწყობილობა ბორმანქანა მონტაჟით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 10 800 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2024 წლის 31 დეკემბერი.

4.2. საქმეში არსებული ინსპექტირების ჯგუფის 2024 წლის 22 ოქტომბრის აქტის თანახმად, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიწოდებული საქონელი არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. კერძოდ, არ იყო ალუმინის ბაზის სტომატოლოგიური სკამი, სტომატოლოგიურ სკამს 9 პოზიციის მეხსიერების ნაცვლად ჰქონდა 6 პოზიცია. LED იმპლანტის ნათურის (თეთრი, ყვითელი, შერეული) განათების ნაცვლად ჰქონდა მხოლოდ თეთრი განათება. მრავალფუნქციული ფეხის პედალს არ ჰქონდა ჩარეცხვის ფუნქცია, არ ჰქონდა USB დამაკავშირებელი პორტი. სამმხრივი შპრიცის (ცივი/ცხელის) ნაცვლად ჰქონდა მხოლოდ ცივი შპრიცი, არ ჰქონდა მუდმივი ტემპერატურის გათბობის სისტემა და არ ჰქონდა ჩაშენებული ორალ კამერა.

4.3. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 22 ოქტომბრის №MOD72401353672 წერილის თანახმად, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის 2024 წლის 8 ოქტომბერს მიწოდებული საქონელი არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით მოთხოვნილ პირობებს. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უმოკლეს ვადაში მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი..

4.4. მიმწოდებელმა 2024 წლის 1 ნოემბრის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ იგი მას ვერ აწვდიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს და ამავე წერილით მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა.

4.5. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 4 ნოემბრის № MOD02401410301 წერილით, მიმწოდებელს აცნობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

**სამოტივაციო ნაწილი**

**5. შემაჯამებელი დასკვნა**

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „მედინიუსს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

**6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

**7. სამართლებრივი შეფასება**

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა 2024 წლის 16 სექტემბრის № 664 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. ამასთან სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის პოზიციაზე და განმარტავს, რომ ვერ გაიზიარებს მიმწოდებლის მითითებას იმასთან დაკავშირებით რომ სტომატოლოგიურ დანადგარს მხოლოდ ერთი ხარვეზი ჰქონდა, რამდენადაც საქმეში არსებული 2024 წლის 22 ოქტომბრის აქტის თანახმად, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიწოდებული საქონელი არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. კერძოდ, არ იყო ალუმინის ბაზის სტომატოლოგიური სკამი, სტომატოლოგიურ სკამს 9 პოზიციის მეხსიერების ნაცვლად ჰქონდა 6 პოზიცია. LED იმპლანტის ნათურის (თეთრი, ყვითელი, შერეული) განათების ნაცვლად ჰქონდა მხოლოდ თეთრი განათება. მრავალფუნქციული ფეხის პედალს არ ჰქონდა ჩარეცხვის ფუნქცია და არ ჰქონდა USB დამაკავშირებელი პორტი. სამმხრივი შპრიცის (ცივი/ცხელის) ნაცვლად ჰქონდა მხოლოდ ცივი შპრიცი, არ ჰქონდა მუდმივი ტემპერატურის გათბობის სისტემა და არ ჰქონდა ჩაშენებული ორალ კამერა. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ მიმწოდებელი საქმეში არსებული 1 ნოემბრის წერილით თავად ადასტურებს რომ მას არ შეეძლო შემსყიდველ ორგანიზაციისთვის მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისი სტომატოლოგიური დანადგარის მიწოდება. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის $5^1$ პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებები აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება არაჯეროვნად შესრულდა (მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის არ გაფორმებულა), თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში იძებნება ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად შესრულებული არაერთი ხელშეკრულების შესახებ, კერძოდ, მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება და, შესაბამისად, კმაყოფილდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „მედინიუსს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

## სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „მედინიუსს“ (ს/ნ: 412718769) 2024 წლის 13 დეკემბერს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.